საქართველოს დსთ-დან გამოსვლის სამართლებრივი მექანიზმები

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დამფუძნებელ დოკუმენტებს წარმოადგენს:

1. 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ;
2. 1993 წლის 22 იანვრის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება;
3. 1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულება ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ.

"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ" 1991 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებას საქართველო შეუერთდა 1993 წლის 3 დეკემბერს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ ბელარუსის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის მიერ 1991 წლის 8 დეკემბერს ხელმოწერილი შეთანხმების" ოქმზე ხელმოწერით. შეთანხმების მე-10 მუხლის შესაბამისად ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შეაჩეროს დოკუმენტის მოქმედება ***ერთი წლით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.***

საქართველოსათვის აღნიშნული დოკუმენტის მოქმედების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს დსთ-ს წესდებიდან გამოსვლის პარალელურად მისი დებულებების გათვალისწინებით.

1993 წლის 22 იანვრის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებას დსთ-ს წესდების დამტკიცების შესახებ საქართველო შეუერთდა 1994 წლის 1 მარტს.

დსთ-ს წესდების მე-9 მუხლის თანახმად ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გამოვიდეს თანამეგობრობიდან, რის შესახებაც წესდების დეპოზიტარს ***წერილობით უნდა აცნობოს გამოსვლამდე 12 თვით ადრე.*** ამავე დროს საჭირო იქნება წესდებიდან გამოსვლისათვის საჭირო იმავე შიდასახელმწიფოებრი პროცედურების განხორციელება რაც საჭირო იყო მისი ძალაში შესვლისათვის (***პარლამენტის შესაბამისი დადგენილება***). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წესდების ამავე მუხლით შესაბამისად სახელმწიფომ სრულად უნდა დაფაროს ის ვალდებულებები რომლებიც წარმოიშვა იმ პერიოდში როდესაც სახელმწიფო წარმოადგენდა დსთ-ს წევრ-სახელმწიფოს (მაგალითისათვის აღნიშნული დებულება შესაძლებელია დსთ-ს სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ გამოყენებულ იქნას საქართველოს მიერ ორგანიზაციის საწევრო გადასახადის სრულად დაფარვის მოთხოვნისათვის).

1993 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულებას ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ საქართველო შეუერთდა 1994 წლის 14 იანვარს. ხელშეკრულების 33-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია გამოვიდეს ხელშეკრულებიდან დანარჩენი მხარეებისათვის ***12 თვით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.***

(თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არსებული დაძაბული მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია განვიხილოთ ორგანიზაციიდან საქართველოს გამოსვლის ალტერნატიული გზა, ანუ იმ პირობებში როდესაც რუსეთის ფედერაცია არღვევს მის მიერ ნაკისრ ყველა საერთაშორისო ვალდებულებას, მათ შორის გაერო-ს წესდებას და ახორციელებს მეზობელი სახელმწიფოს მიმართ სამხედრო აგრესიასა და ქვეყნის ტერიტორიის ანექსიას, შესაძლებელია ორგანიზაციის დატოვების შესახებ დეპოზიტარისათვის შეთყობინების გაგზავნისას არ გავითვალისწინოთ 12 თვიანი პერიოდი და განვაცხადოთ, რომ ვტოვებთ ორგანიცასიას და ვიხსნით ყველა ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებას წესდებისა და ორგანიზაციის ფარგლებში. მართალია ზემოაღნიშნულ ქმედებას არ არ ითვალისწინებს არც დამფუძნებელი დოკუმენტები და არც ვენის 1969 წლის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, მაგრამ გადაწყვეტილება პოლიტიკურია.)

ასევე აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ფარგლებში საქართველოს მიერ ხელმოწერილია დაახლოებით 700-მდე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთა უმრავლესობა საქართველოსათვის ძალაშია.

დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადების გაკეთება, ისევე როგორც დამფუძნებელი დოკუმენტების საქართველოსათვის მოქმედების შეწყვეტა არ გულისხმობს საქართველოსათვის ყველა დანარჩენი დოკუმენტის მოქმედების ავტომატურ შეწყვეტას. აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ფარგლებში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებს მისი ერთ-ერთი წევრის მიერ ორგანიზაციის დატოვების შემთხვევაში, დსთ-ს ფარგლებში ხელმოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებების შეწყვეტისა ან გაგრძელების თაობაზე. ასეთი ხელშეკრულებების ბუნებისა და დებულებების გათვალისწინებით, ისევე როგორც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, საქართველოს დსთ-დან გასვლის შემთხვევაში საჭირო გახდება ყოველი მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭირო შესაბამისი პროცედურების განხორციელება. (რიგი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ასეთ პროცედურებს, ხოლო რიგი არა, ასეთ შემთხვევაში საქართველო იმოქმედებს 1969 წლის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის თანახმად).

ასევე აღსანიშნავია დსთ-ს რკინიგზის საბჭოს ფარგლებში მიღებულ შეთანხმებებში ხელშემკვრელ მხარეებად ასევე გამოდიან ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული საბჭოს მუშაობაში, მიუხედავად იმისა რომ ლიტვა, ლატვია და ესტონეთი არ წარმოადგენენ დსთ-ს წევრ-ქვეყნებს. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით რომ რიგი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მათდამი დსთ-ს არა წევრ-სახელმწიფოთა მიერთებას, არსებობს შესაძლებლობა სახელმწიფოს მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში საქართველო დარჩეს მონაწილე მხარედ დსთ-ს ზოგიერთ საერთაშორისო ხელშეკრულებაში.